ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N2

ქალაქი ბათუმი 2022 წლის 17 ივნისი
11^{00} საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - რამაზ ჯინჭარაძე

ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ირაკლი თავდგირიძე	-	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ნატალია ზოიძე	-	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ ნაკაიძე	-	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია გოგუაძე	-	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	-	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ცხოიძე	-	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა მგელაძე	-	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	-	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ასლან ბალაძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;

რიჩარდ სირაბიძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
როსტომ ხალვაში	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო ცხვარაძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე	-	ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა კილაბერია	-	საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	-	საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ბაჩი მექვაბიშვილი	-	საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნატო ნაცარიშვილი	-	საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნაზი ფუტკარაძე	-	საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ლომთათიძე	-	საკრებულოს წევრი;
ლევან დოლიძე	-	საკრებულოს წევრი;
აკაკი გვიანიძე	-	საკრებულოს წევრი;
რევაზ ხარაზი	-	საკრებულოს წევრი;
თეონა ბერიძე	-	საკრებულოს წევრი;
ნატალია ძიძიგური	-	საკრებულოს წევრი;
ქეთევან ლასტაკანიძე	-	საკრებულოს წევრი;
ეკატერინე ზარია	-	საკრებულოს წევრი;
ბადრი მექვაბიშვილი	-	საკრებულოს წევრი;

მამუკა ქობულაძე	-	საკრებულოს წევრი;
ალექსანდრე ვარშალომიძე	-	საკრებულოს წევრი;
ილია ჯინჭარაძე	-	საკრებულოს წევრი;
ვაჟა დარჩია	-	საკრებულოს წევრი.
თეკლა კავაზაშვილი		-საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდნენ:

თენგიზ აფხაზავა	-	საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;
კახაბერ ქაშიბაძე	-	საკრებულოს წევრი;
ირაკლი ზოიძე	-	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომა უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით წარმოდგენილი 18 საკითხი. საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ ბათუმის N79 საოლქო საარჩევნო კომისის თავმჯდომარის განკარგულებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრების ირაკლი კუპრაძისა და ნინო ბაციაშვილის ადგილმონაცვლედ ვაჟა დარჩიასა და ნატალია ძიძიგურის ცნობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა აკაკი გვიანიძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 საკითხის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტის დღისწესრიგიდან ამოღების თაობაზე. რადგან საკრებულოს რეგლამენტის 67-ე მუხლის მიხედვით საკრებულო, არა უგვიანეს 01 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნამ, რომ საკრებულოს მიერ 01 მაისამდე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა ნიშნავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობას. შესაბამისად ვადა გასულია და საკითხი დღის წესრიგიდან ამოსაღებია.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგით გათვალიწინებული მე-10 საკითხის - „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, რადგან აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 2021 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო M2 და M3 კატეგორიის ავტობუსით გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრას 0,1 ლარით.“ ის ეთანხმება აღნიშნულ საკითხს M2 და M3 კატეგორიის ავტობუსით გადაყვანის საფასურის 50 თეთრით განსაზღვრის ნაწილში. რადგან საკრებულოს გადაწყვეტილებით საფასური განსაზღვრულია 50 თეთრი, თუმცა რამდენიმე თვეა

თვითნებურად ახდევინებენ მძღოლები 70 თეთრს, რის საფუძველზეც საკრებულოს მიერ მიღებულ ხელშეკრულებას არღვევენ.

სხდომის თავმჯდომარემ რამაზ ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი, რომელსაც ყოველწლიურად არაუგვიანეს 01 მაისისა ამტკიცებს საკრებულო. საკრებულოს ვერ შეკრების გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვა და დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 17

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგიდან, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ამოღება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 12 (ლ. კილაბერია, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, რ. ხარაზი, თ. კავაზაშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ი. ჯინჭარაძე, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, მ. ქობულაძე, ა. ვარშალომიძე, ბ. მექვაბიშვილი)

წინააღმდეგი - 20

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 2. ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 6. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 8. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

საკითხი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

საკითხი 10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

საკითხი 11. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

საკითხი 13. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ᵇ-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 16. „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 17. „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

საკითხი 18. „ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 13
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.

საკრებულოს წევრი - რევაზ ხარაზი - მიესალმა კოლეგებს, დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ უდიდესი პატივისცემა აქვს თითოეული მათგანის. კარგი იქნებოდა სხდომას დასწრებოდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი და პასუხები გაეცა სახელმწიფო აუდიტის დასკვნასთან დაკავშირებით, რომელიც გადაგზავნილია პროკურატურაში. საკრებულო უნდა იყოს ასეთ საკითხებთან დაკავშირებით კრიტიკული. მან აღნიშნა, რომ ზაფხულის სეზონის გახსნის ცერემონიაზე, როგორც საკრებულოს წევრისთვის მიწვევა არ მიუღია. სეზონი გაიხსნა, თუმცა ბათუმის ნაპირსამაგრი არავის არ აინტერესებს. მნიშვნელოვანი საკითხია ქალაქისთვის შემოვლითი გზის გახსნა. მთავარი საზრუნავი ხალხია და ნებისმიერი საბიუჯეტო თანხა, რომელიც არამიზნობრივად იხარჯება ან კორუფციული გზით ერთეულთა ჯიბეში მიედინება, აკლდება თითოეულ მოქალაქეს, რასაც არ შეეგუებიან.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - აღნიშნა ქალაქის წარმატებისთვის მთელი ძალისხმევით მუშაობის თაობაზე.

საკრებულოს წევრი მამუკა ქობულაძე - სამწუხარო ფაქტია საკრებულოს წევრის ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალება. გამოძიება დღეს არა თუ დასრულებულია, არამედ არავინ დაკითხულიც არ არის. ყველამ ვერ შეძლო მისი ღირსების დაცვა. ასევე დღეს დღის წესრიგით გათვალისწინებულია 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა, თუმცა 2022 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა წინა მოწვევის საკრებულომ.

საკრებულოს წევრი ალექსანდრე ვარშალომიძე - ბათუმში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ოპოზიციურ პარტიას ბათუმის მცხოვრებთა 60% მხარი დაუჭირა. პარტია ,,ქართული ოცნების" ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ხალხის, ახალგაზრდებს სურთ თავისუფალ საქართველოში ცხოვრება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა გაცილებით ადრე დაიწყო მუშაობა, ვიდრე კანონით იყო განსაზღვრული.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - ადამიანს, ნუგზარ ფუტკარაძეს სურდა ღირსეულად ეცხოვრა, თუმცა სასიკვდილოდ გაიმეტეთ. დღეს 2022 წლის ბიუჯეტი უნდა განხილულიყო, მაგრამ დღის წესრიგში განსახილველად წარმოდგენილია 2021 წლის ბიუჯეტის ანგარიშის დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე -ბათუმელებს ვცეთ პატივი, ღირსებაზე ერთმანეთს ნუ შევეხებით.

საკრებულოს წევრი ქეთევან ლასტაკანიძე - საკრებულოში მისი ყოფნის მიზანია ბათუმელების პრობლემების მინიმუმადე დაყვანა. მზად არის თითოეულთან ითანამშრომლოს და შეჯერდნენ ოქროს შუალედზე. ისაუბრა საბაგიროს, ბოტანიკური ბაღის და სხვა მსგავს ობიექტებზე გაზრდილ გადასახადებთან დაკავშირებით. ბათუმის მცხოვრებთა ნაწილი უსახსრობის გამო არ მისულა აღნისნული ობიექტების დასათვალიერებლად, რასთან დაკავშირებითაც გამოთქვა მოსაზრება სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ობიქეტებზე (საბაგიროს, ბოტანიკური ბაღის და სხვა) შესვლის გადასახადის შემცირების შესახებ.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამოკიდებულია აჭარის და ცენტრალურ ბიუჯეტზე. აუდიტის დასკვნების განხილვა პროკურატურაში არაა აღძრული.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - კონსტრუქციულად უნდა წარიმართოს სხდომები. საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გია აბულაძე უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან. სასამართლომ დაავალა საკრებულოს განაცდურის გადახდა და სამსახურში აღდგენა, თუმცა აღდგენის ნაცვლად გამოცხადდა კონკურსი. მოუწოდა საკრებულოს კანონიერი განაჩენი აღსრულდეს და გამოცხადებული კონკურსი გაუქმდეს.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია - აპირებს თანამშრომლობას საკრებულოს ყველა წევრთან ქალაქისთვის სასიკეთო საქმეების გასაკეთებლად. ბათუმისათვის უნდა გაკეთდეს მეტი, ვიდრე არასდროს.

საკრებულოს წევრი თეკლა კავაზაშვილი - არ აქვს გამოცდილება საჯარო სამსახურში მუშაობის. საქართველო ბევრი საჭირბოროტო საკითხების წინაშე დგას. ბათუმის ცენტრში, ზღვის პირას კომპანია ,,ორბის" ე.წ. ბეტონის ქარხანა უკანონოდ ფუნქციონირებს. ეს ქარხანა დასახლებაში მცხოვრებ ადამიანებს ჯანმრთელობის საფრთხეს უქმნის, რადგან საწარმო პირდაპირ საცხოვრებელ კორპუსებს შორის დგას და გარემოს აბინძურებს. მოითხოვა განმარტება თუ რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრი დავით მახარაძე - მიმართა პარტია ,,ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", რომ მათ მიერ 9 წელში დაშვებულ შეცდომებს დღეს ასწორებენ. 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებით ქალაქში სამუშაოები არ შეჩერებულა.

საკრებულოს წევრი ლაშა კილაბერია - მხარს უჭერს საკრებულოს შეკრებას ქალაქისთვის საქმის გასაკეთებლად. საკრებულოს უსურვა გაძლიერება.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - მოუწოდა საკრებულოს წევრებს 20 ივნისს, 20 საათზე ევროპის მოედანზე შეკრებისაკენ ,,საქართველოს გზა ევროპისკენ", რათა გამოხატონ მათი ნება ევროპულ ოჯახში გაწევრიანებაზე.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - მისი მუშაობის პერიოდში საკრებულო იქნება წარმატებული და ქალაქისთვის ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტები გაკეთდება.

საკრებულოს წევრი ნატალია ზოიძე - ამაყია, რომ პარტია ,,ქართული ოცნების" წარმომადგენელია და მიესალმება კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ **განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ნორმა-ტიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგა-ნულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციე-ლებული ცვლილებები, კერძოდ:

- საკრებულოს შემადგენლობა ნაცვლად 25 წევრისა, კანონმდებლობის შესაბამისად განისაზღვრა 35 წევრით.
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 135-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახალარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება საკრებულოს სრული შემა-დგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.
- იცვლება საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი, რაც გულისხმობს, რომ კომისიის თავმჯდომარე თუ აქამდე მოქმედი კანონმ-დებლობით აირჩეოდა საკრებულოს შემადგენლობიდან, ცვლილების განხორცი-ელების შემდეგ საკრებულო კომისიის თავმჯდომარეს აირჩევს კომისიის წევრთაგან.
- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა გაიზარდა და ნაცვლად ორისა განისაზღვრა 3-ით.
- ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობა იზრდება ყოველ სამ წევრზე 1 მოადგილე, მაგრამ არაუმეტეს 7-ისა.
- საკრებულოს რიგგარეშე სხდომას საკრებულოს თავმჯდომარისა და პირველი მოადგილის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას ცვლილების შესაბამისად თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი მოადგილე.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 28
არ ესწრებოდა: 4 (მ.ქობულაძე, ბ.მექეაბიშვილი, ა.ვარშალომიძე, ვ.დარჩია)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა 11 (ლ. კილაბერია, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, რ. ხარაზი, თ. კავაზაშვილი, ნ. ნაცარიშვილი, ი. ჯინჭარაძე, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 2.** ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები.

ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დამტკიცებული დებულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინა საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31
არ ესწრებოდა: 1 (ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 3.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები.

ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დამტკიცებული დებულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინა საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1 (ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 4.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები.

ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დამტკიცებული დებულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინა საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **საკითხი 5.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები.

ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დამტკიცებული დებულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინა საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა -1(ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **საკითხი 6.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანულ კანონში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებები.

ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა კომისიის საქმიანობის განსახორციელებლად მიზანშეწონილია იხელმძღვანელონ ბოლო დროს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად დამტკიცებული დებულებით, აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 7.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავრთქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობის რაოდენობის შემცირებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობისა და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობის გაზრდით. აღნიშნულის თანახმად მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო ნუსხაში ფრაქციის თავმჯდომარის რაოდენობა ნაცვლად 5 ერთეულისა განისაზღვროს 3 ერთეულით, დადგენილების საშტატო ნუსხას დაემატოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის საშტატო ერთეული ნაცვლად 5 -სა განისაზღვროს 10 ერთეულით.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 30

არ ესწრებოდა -2 (ნ. დუმბაძე, ა. ვარშალომიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 8.** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) არ აღემატება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს მაქსიმალური ოდენობის 15%-ს და ანაზღაურდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თვეში არაუმეტეს 750 (შვიდასორმოცდაათი) ლარისა.

საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით ყოველთვიური ხარჯები ანაზღაურდება:

- ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისთვის;
- საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობისათვის;
- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის.

საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორცი-ელებასთან დაკავშირებით ყოველთვიური ხარჯები ანაზღაურდება შემდეგნაირად:

- ამომრჩევლებთან გამართული შეხვედრებისთვის 60% - 450(ოთხასორმოცდაათი) ლარი;
-საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობისათვის 20% -150 (ასორმოცდაათი)ლარი;
- საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისათვის 20% - 150 (ასორმოცდაათი)ლარი.

საკრებულოს წევრს (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორ-ციელებასთან დაკავშირებით ხარჯები აუნაზღაურდეს მის მიერ ამომრჩევლებთან გამარ-თული შეხვედრების, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის პროპორციულად.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 32

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 13 (ლ. კილაბერია, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, რ. ხარაზი, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე, ნ. ნაცარიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება მე-9 საკითხის განხილვამდე ფრაქციაში კონსულტაციისთვის 10 წუთიანი შესვენების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება 12.10 სთ.
სხდომა განახლდა 12.20 სთ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 9. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 21 დეკემბრის №42 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 26/02/2021 №2; 25/06/2021 №17; 14/10/2021 №20 და 26/11/2021 №25 დადგენილებებით. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 196,941.9 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 197,226.5 ათასი ლარია. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 210,447.4 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 178,358.6 ათასი ლარი. 2021 წელს პრიორიტეტული იყო ქალაქის განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მათ ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება და მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა შემდეგი პროგრამების დაფინანსება:
მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა განვითარება: - საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 41 204,1 ათასი ლარი; - სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება 27 668,0 ათასი ლარი; - საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 15 223,0 ათასი ლარი; - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 7 591,0 ათასი ლარი; - მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-

პატრონობა - 484,3 ათასი ლარი; - ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 2 111,0 ათასი ლარი; - ქალაქის კეთილმოწყობა - 1 273,9 ათასი ლარი.

ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება: - ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება- 10 078,1 ათასი ლარი; - ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 10 701,3 ათასი ლარი; ⎫ განათლება: - სკოლამდელი განათლება - 14 672,0 ათასი ლარი; - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 100,0 ათასი ლარი; - ზოგადი განათლების ხელშეწყობა - 12,8 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი: - სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 4 117,8 ათასი ლარი; - მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლაპატრონობა - 4 495,9 ათასი ლარი; - კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები - 2 276,2 ათასი ლარი; - კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა - 2 327,0 ათასი ლარი; - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - 1 250,2 ათასი ლარი; ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა - 196,8 ათასი ლარი
ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა: - ჯანმრთელობის დაცვა - 4 219,7 ათასი ლარი; - სოციალური უზრუნველყოფა - 12 403,2 ათასი ლარი; - სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა - 821,7 ათასი ლარი. ⎫ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი განვითარება: - ქალაქის ურბანული განვითარება - 12,2 ათასი ლარი;
მუნიციპალური სერვისების განვითარება: - მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება - 5 986,7 ათასი ლარი; ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო, მერია) ხარჯების დაფინანსება (6 178,9 ათასი ლარი), სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (2 944,3 ათასი ლარი), წვევამდელთა ტრანსპორტირება (8,4 ათასი ლარი).
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 197,226.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია. შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 77,736.0 ათასი ლარი (შემოსულობების 39.4%), გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე – 59,638.5 ათასი ლარი (შემოსულობების 30,2%), სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 43,077.0 ათასი ლარი (შემოსულობების 12,3%), არაფინანსური აქტივების კლებაზე (ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებულ შემოსულობაზე) - 16,770.7 ათასი ლარი (შემოსულობების 8,5%) და ფინანსური აქტივების კლებაზე - 4,2 ათასი ლარი.
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 196,941.9 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული იქნა 197,226.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.1%. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს (ფინანსურ დახმარებას) და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად დამატებული ღირებულების გადასახადიდან 19% ნაწილდება მუნიციპალიტეტებისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის

მომზადებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გაიანგარიშებს და ბიუჯეტის კანონის პროექტში ასახავს მუნიციპალიტეტებისათვის განსაზღვრულ დამატებული ღირებულების გადასახადში თითოეული მუნიციპალიტეტის კუთვნილი წილის პროცენტულ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის 2021 წლის გეგმიური მაჩვენებელი 46,828.5 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 48,224.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 103.0%-ია

2021 წლის განმავლობაში ქალაქის ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 59,638.5 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 79,284.1 ათას ლარს, რაც გეგმის - 75.2% შეადგენს. მიღებული ფინანსური დახმარებიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2021 წელს მიღებულ იქნა - 1,548.2 ათასი ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული ფინანსური დახმარება - 57,590.2 ათას ლარს შეადგენს, ასევე მიღებულ იქნა სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან (ქ. თბილისის მერია) – 500.0 ათასი ლარი.

2021 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის ბიუჯეტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებულმა სახსრებმა შეადგინა 57,590.2 ათასი ლარი, მათ შორის: - კაპიტალური ტრანსფერი - კაპიტალური პროექტების დასაფინანსებლად 42,780.5 ათასი ლარი, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №2); - სპეციალური ტრანსფერი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 14,740.6 ათასი ლარი დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (დანართი №3); - რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (სპეციალური ტრანსფერი) - 69.1 ათასი ლარი, კერძოდ: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 29 აპრილის №722 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული 5 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ვენერა გორაძის, ანზორ ვარშანიძის, იმედა სარიძის, ამირან სურმანიძის, და გოგი აბულაძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 36 858 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა - 36 858 ლარი (100%). ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 09 ივნისის №977 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კახაბერ დოლიძის, იზოლდა დუმბაძის და მაკა აბაშიძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 15000 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 000 ლარი (100%). გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 30 ივლისის №1956 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, ხანძრისა და ხანძრის ჩაქრობის მიზნით გამოყენებული წყლის ჭავლის შედეგად დაზარალებული 3 ოჯახის, კერძოდ: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ზაურ მახარაძის, როინ ანთაძის და ეთერ საითაძის დახმარების გაწევის მიზნით - გამოყოფილ იქნა 17 224 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 224 ლარი (100%).

2021 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა სპეციალური ტრანსფერის სახით 1,548.4 ათასი ლარი მიღებული იქნა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან

„ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ (III ფაზა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში www.batumi.ge 15 და IV ფაზა) პროექტის ფარგლებში გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW), საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თვითმმართველ ქალაქ ბათუმის შორის გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით.
2021 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიღებულ იქნა სხვა მიმდინარე გრანტები თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან - 500.0 ათასი ლარი, ქ. ბათუმში 26 მაისის ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაზარალებულთა დახმარების მიზნით. სხვა შემოსავლები სხვა შემოსავლების 2021 წლის საპროგნოზო მოცულობა 29,879.3 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43,077.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 144.2%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 21.8%-ს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია: საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 6,979.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5,279.1 ათასი ლარი) 132.2%-ია. მათ შორის: - პროცენტებიდან მობილიზებულია 4,929.0 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე წლის განმავლობაში დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს. - რენტის სახით მიღებულია 2,050.5 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 153.5 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 1,897.0 ათასი ლარი. საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 28,249.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (19,460.0 ათასი ლარი) 145.2%-ია. აქედან: - ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით _ 28,203.4 ათასი. მათ შორის: - მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) _ 1,37.6 ათასი ლარი. - საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი _ 1.3 ათასი ლარი; - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 3.4 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი _ 23,440.8 ათასი ლარი, მათ შორის: სათამაშო აპარატებიდან _ 12,487,5 ათასი ლარი; წამახალისებელი გათამაშებიდან _ 28.2 ათასი ლარი; კლუბის მაგიდიდან _ 251.9 ათასი.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - სანიაღვრე არხების გაწმენდა დღესაც გრძელდება?, რომლის დასაწყობება თუ ხდება?, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განსახილველად წარმოდგენილია ბიუჯეტის ანგარიში და თითოეულ შესრულებულ სამუშაოებზე პასუხისმგებელია შესაბამისი უწყებები.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედ კომისიის სხდომებს არ ესწრებოდა, გამომდინარე აქედან დასვა კითხვა შემოსულობების გაზრდასთან დაკავშირებით, რაზედაც

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 197,226.5 ათასი ლარი, რაც შემოსულობების 2021 წლის გეგმიური მაჩვენებლის 100.1%-ია. შემოსავლები მოიცავს გადასახადებს, გრანტებს და სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებს.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - წარმოდგენილ ანგარიშში არ ჩანს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ღონისძიებების შეუსრულებლობა.

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - მარკოზ აჭარელის მე-4 შესახვევი ინფრასტრუქტურული კუთხით მოსაწესრიგებელია, თუმცა დახარჯულია 330 ათასი ლარი. ასევე თამარ მეფის გამზირზე მოსახლეობა ითხოვს მორიგი მსხვერპლი რომ არ განმეორდეს გადასასვლელი საფერხმალო ხიდის მშენებლობას.

სხდომის თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე - ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საკითხები ერთობლივად განვიხილოთ. განხილვისას გამოვლენილი მოსაზრებების და შენიშვნების გათვალისწინება მოხდეს ბიუჯეტის დამტკიცებისას.

საკრებულოს წევრი რევაზ ხარაზი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი უნდა ესწრებოდეს საკრებულოს სხდომას და ერთობლივად უნდა მოხდეს ბიუჯეტის განხილვა.

საკრებულოს წევრმა რევაზ ხარაზმა დატოვა სხდომათა დარბაზი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 11 (ლ. კილაბერია, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე, ნ. ნაცარიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია)

არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **საკითხი 10.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპისათვის აღნიშნული სახის ცვლილება განპირობებულია ბაზარზე საპოხი და საწვავი მასალების სათადარიგო ნაწილების ფასების საგრძნობი ზრდით, რამაც მგზავრთა გადამყვან კომპანიებში დასაქმებულ მძღოლებზე და მათ საქმიანობაზე მოახდინა ნეგატიური გავლენა. აქედან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით მიმდინარე ეტაპზე დაუწესდეთ M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის ნებართვის ფასის გადახდის სიმბოლური თანხა 0.10 ლარის ოდენობით.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძე - დასვა კითხვა დაწერილი ჯარიმების რაოდენობის თაობაზე.

მომხსენებელი - დღემდე დაწერილია 91 ჯარიმა.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - ნებართვების პროცესის გამკაცრების შესახებ დასვა კითხვა, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ კომისიური წესით ნებართვას გასცემს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო კონტროლს ახორციელებს მუნიციპალური ინსპექცია.

საკრებულოს წევრი ვაჟა დარჩია - კარგი პროექტია, თუმცა დასვა კითხვა მგზავრობის ფასის თვითნებურად გაზრდის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს გადაწყვეტილებით სამარშრუტო მიკროავტობუსში დღევანდელი მდგომარეობით მგზავრობის ფასი 50 თეთრია.

საკრებულოს წევრი ზურაბ ნაკაიძე - მუნიციპალური პოლიტიკა მუნიციპალური ტრანსპორტის გაძლიერებაა, რის საფუძველზეც სამარშრუტო მიკროავტობუსებს ჩაანაცვლებს მუნიციპალური ავტობუსები.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - აღნიშნული სა-

კითხის ირგვლივ იყო მსჯელობა, თუმცა დღესაც პოლიტიკის მიზანი არის გაუგებარი. დღეს სამარშრუტო მიკროავტობუსებში მოსახლეობა მგზავრობისთვის იხდის 70 თეთრს, რადგან 20 თეთრისთვის არ ეკამათება.

საკრებულოს წევრი ნოდარ დუმბაძე - სამწუხაროდ ვერ დაუჭერს მხარს წარმოდგენილ პროექტს.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 2(ა. გვიანიძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 11.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 და M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აგვისტოს №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური ავტობუსების სამარშრუტო ქსელს დაემატა ახალი N14 მარშრუტი, ხოლო N6 და N13 სამარშრუტო ხაზების მოძრაობის სქემაში შევიდა ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს და მორგებულია მგზავრების მოთხოვნებზე.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

საკითხი 12. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საქალაქო ტრანსპორტის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილების უფროსი - ემზარ ქავჟარაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 მარტის №1122 დადგენილებით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში შეტანილი ცვლილების შესაბამისად კატეგორიის M2 ავტობუსებისათვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანა ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვრა 2025 წლის 1 აპრილამდე. გამომდინარე აქედან, ცვლილება შედის „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში და დადგენილების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის პირველ აპრილამდე.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: **მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

საკითხი 13. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესი"-ს პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მიწის ნორმატულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:30
არ ესწრებოდა: 1 (ზ. ნაკაიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 14.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ᵇ-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2022 წლის 08 ივლისის N3394/02 (07-14221603-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია რომ ,,მყარი ნარჩენების მართვა აჭარაში" პროექტის ფარგლებში ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ.20.51.01.348) შპს ,,აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის" დაკვეთით აშენდა ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს წინა საექსპლუატაციო მოსამზადებელი სამუშაოები, პერიოდულად სატესტო რეჟიმში მუშაობს დანადგარ-მოწყობილობები, როგორც სანიტარული ნაგავსაყრელი პოლიგონის შიგა, ასევე ბუფერულ ზონის ტერიტორიებზე მიმდინარეობს მწვანე ხე-მცენარეების გაშენების სამუშაოები. ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ (EBRD) 2020 წლის დეკემბრიდან დაქირავებულ იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია ICT-ი, რომელიც ამზადებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ნარჩენების მართვის სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთ ღონისძიებად განიხილება მუნიციპალური ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მშენებლობა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებს ერთმანეთისაგან

დიდი მანძილი აშორებთ, რის გამოც საჭირო ხდება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის მოწყობა. ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებს მოემსახურება ქობულეთის ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი, შესაბამისად შპს ,,აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის" მიერ შერჩეული იქნა ხელვაჩაურის სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორია, კერძოდ: ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 9557,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 - საერთო ფართი 59.86 კვ.მ და N2- საერთო ფართი 137,97 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 05.35.28.535), სადაც შესაბამისი მოთხოვნების დაცვით აშენდება გადამტვირთი სადგური, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული უძრავი ქონების (ს.კ. 05.35.28.535) შპს ,,აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიის" საწესდებო კაპიტალში შეტანა.

ზემოაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2022 წლის 18 აპრილის N01-01-10/1832 კორესპონდენციის თანახმად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, ზემოაღნიშნული ქონების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შემდგომში, ქონების (ს.კ. 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით.

სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2022 წლის 06 ივნისის N1/1-3106 ბრძანებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება (ს.კ. 05.35.28.535).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმში, აკაკი შანიძის ქუჩა N3ბ-ში მდებარე 9557,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების N1 - საერთო ფართი 59.86 კვ.მ და N2- საერთო ფართი 137,97 კვ.მ (საკადასტრო კოდი: 05.35.28.535) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას მისი შემდგომში შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიისათვის" (ს/კ245626684) გადაცემის მიზნით (შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია"-ს საწესდებო კაპიტალში შესატანად).

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: **საკრებულოს წევრმა დავით მახარაძემ** განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ტენდერი გამოცხადდა და გამარჯვებული კომპანია მოემსახურება, რაზედაც დაეთანხმა მომხსენებელი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

საკითხი 15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე, ასევე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული უძრავი/მოძრავი ქონებების (მიწის ნაკვეთები) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შეტანა, შემდგომი განკარგვის მიზნით.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - საპრივატიზაციო ობიექტების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ზოგიერთი მიწის 5, 3 და 2 კვ.მ -ებია გაწერილი, რომლის გადაწყვეტა არაფრის მომცემია. მოქალაქეებს არ უნდა მოუწიოს გადახდა და აღნიშნული დოკუმენტი უნდა დაკორექტირდეს.

მომხსენებელი - განმარტა, რომ მოქალაქეების მიერ მოხდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის მოთხოვნა.

სხდომის თავმჯდომარე - მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად მოხდეს სიმბოლურ ფასად გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - 1(ნ. ძიძიგური)
არ მიიღო მონაწილეობა -1(ა. გვიანიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

საკითხი 16. „ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემურ და გადაუჭრელ საკითხს წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, მათ შორის ისეთი ავარიული საცხოვრებელი სახლების არსებობა, რომლებიც გამაგრებას არ ექვემდებარება და საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დღეის მდგომარეობით მომზადებულია 118 ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საესპერტო დასკვნა, რომლებიც წარმოდაგენს საფრთხის შემცველ საცხოვრისს, რომლებშიც ცხოვრობს დაახლოებით 3000 ოჯახი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არ არის საბოლოო და შესაძლებელია გაიზარდოს ახალ მისამართებზე მომავალში ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნების შესაბამისად. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავებული იქნა ავარიული სახლების ჩანაცვლება/რეაბილიტაციის 4 წლიანი პროგრამა (ბიუჯეტი 80 000 00 ლარი):

პროგრამის ბიუჯეტი წლების მიხედვით:

- 2022 წელს 20 000 000 ლარი;
- 2023 წელს 20 000 000 ლარი;
- 2024 წელს 20 000 000 ლარი;
- 2025 წელს 20 000 000 ლარი.

გარდა ზემოაღნიშნული პროგრამისა აჭარის ავტონომიუირი რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის 29 მარტის N159 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე" სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავდებობას საფინანსო ორგანიზაციებთან ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული საკრედიტო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დადგენილი წესის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული ამ ურთულესი გამოწვევის დაძლევა და საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, მისი მასშტაბურობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდება მხოლოდ ზემოაღნიშნული პროგრამების გამოყენებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია საკითხის გადაწყვეტა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობითა და მხარდაჭერით, მათ შორის, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების ჩართულობით.

შესაბამისად იმისათვის, რომ არსებული ავარიული სახლების ადგილზე აშენდეს ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, საჭიროა დამტკიცებული იქნას ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების გეგმის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი, რაც შესაძლებელს გახდის ავარიული

საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლებას ახალი თანამოდროვე თიპის საცხოვრებელი სახლებით, რითაც დაკმაყოფილებული იქნება მასში მცხოვრები მოსახლეობა.

ამ წესის მიზანია:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ავარიული შენობების ლიკვიდაციის ხელშეწყობა;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავარიული შენობების თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი კომპლექსებით ჩანაცვლება;

გ) მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და უსაფრთხო საცხოვრისი გარემოს შექმნა;

დ) ქალაქის იერსახის გაუმჯობესება;

ე) ინვესტიციების მოზიდვა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;

ვ) სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - რა ბედი ეწევათ ბენზეს დასახლებაში ბარაკული ტიპის/ ავარიულ სახლებს.

მომხსენებელი - ავარიულ სახლებზე უნდა არსებობდეს დასკვნები, თუ მოსახლეობის მხრიდან ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განაცხადი შემოსულია, მაშინ მოიძებნება ინფორმაცია.

საკრებულოს წევრი მამუკა ქობულაძე - ოჯახები დაუსრულებელ, ჩაუბარებელ საცხოვრებელ ბინებში ცხოვრობენ, რომლებსაც არ გააჩნიათ ლიფტი და გაზი, რაზედაც მოიკითხა აღნიშნულზე ინფორმაცია.

მომხსენებელი - აღნიშნული საკითხი არ ეხება წარმოდგენილ საკითხს. ქალაქს აღრიცხული აქვს ასეთი შენობები, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია შესაბამისი კომისია.

საკრებულოს წევრი ალექსანდრე ვარშალომიძე - სასიხარულოა, რომ ამ ეტაპისათვის 17 ლოკაციიდან 188 ოჯახია გაყვანილი, თუმცა ზოგიერთი ოჯახი რჩება სახიფათოდ. აღნიშნულ ოჯახებს უნდა აუხსნათ რისკების თაობაზე, რომ სავალალო მდგომარეობა არ განვითარდეს. ასევე პოლიტიკური შეხედულებებით არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

სხდომის თავმჯდომარე - პოლიტიკური ნიშნით განსხვავებაზე არ უნდა ვიფიქროთ.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - კარგი პროექტია, რომელსაც ქალაქის მოსახლეობა ელოდება.

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - აღნიშნულ წესში გარკვეული შემაფერხებელი გარემოებებია. პროგრამა კარგია, თუმცა მხარს დაუჭერს, თუკი შეიქმნება ავარიულ სახლებთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო კომისია.

მომხსენებელი - კომისია შექმნილია ავარიულ სახლებთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირები პროექტის განმახორციელებელს მიმართავს განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **საკითხი 17.** „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 19 სექტემბერს გამოიცა N73 განკარგულება „მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც ძირითადად შეეხება პროგრამით მოსარგებლე ბენიფიციართა შერჩევის და ბინების გადაცემის საკითხებს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა, ქალაქ ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N78ბ-ში N05.26.02.015 საკადასტრო კოდით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე „გ“ და „დ“ კორპუსებში არსებული (რეგისტრირებული) საცხოვრებელი ბინების შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ 15 წლის ვადით გადაცემა. იგივე პროცედურები უნდა განხორციელდეს „ა“ და „ბ“ კორპუსებში არსებულ (რეგისტრირებულ) საცხოვრებელი ბინებთან დაკავშირებით, რაზედაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელ ორგანოს უნდა მიეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი თანხმობა.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრი ნაზი ფუტკარაძე - დასვა კითხვა შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ?

საკრებულოს წევრი აკაკი გვიანიძე - დასვა კითხვა შერჩევის კრიტერიუმის და საჩივრების თაობაზე?

მომხსენებელი - წესში განსაზღვრულია რას უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი. შერჩევისთვის ტენდერი გამოცხადდა, გამარჯვებულმა კომპანიამ შეისწავლა ოჯახები და წარმოადგინა 40 ოჯახის ბინებით დაკმაყოფილების სია. სასამართლო დავაზე ინფორმაცია არ შემოსულა.

საკრებულოს წევრი ნატალია ძიძიგური - აღნიშნული პროექტი ინიცირებულია წინა მოწვევის საკრებულოს მიერ, რომლითაც 40 ოჯახი დაკმაყოფილდა და დღეს კიდევ 40 ოჯახი დაკმაყოფილდება. წარმოდგენილი პროექტი მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 18. „ქ. ბათუმში, „ბათუმის ცენტრალური პარკი“-ს ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ბათუმში, ,,ბათუმის ცენტრალურ პარკში“ სხვადასხვა ლოკაციაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგული აქვს სხვადასხვა დანიშნულების საქმიანობის განხორციელების მიზნით (ატრაქციონები, ჯიხური და ა.შ) მიწის ნაკვეთები. დღეის მდგომარეობიით ხელშეკრულებების ნაწილს გაუვიდა ვადა. წარმოდგენილია

მოთხოვნები ამავე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 01 ივნისის №003688121 დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ,,ბათუმის ცენტრალურ პარკში" მდებარე 1 კვადრატული მეტრი მიწის საპრივატიზებო ღირებულებაა 3017 ლარი; 5%- 150,85 ლარი. წინა ხელშეკრულებებით განსაზღვრული სარგებლობის საფასურის ანალიზიდან (შედარებიდან) გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქ. ბათუმში, ,,ბათუმის ცენტრალური პარკი"-ს ტერიტორიაზე მდებარე (ს/კ №05.23.06.010) ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, განისაზღვროს 200 ლარით და იგი გამოყენებული იქნას კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის (ფართზე გადამრავლებით).

ქ. ბათუმში, ,,ბათუმის ცენტრალური პარკი"-ს ტერიტორიაზე მდებარე (ს/კ №05.23.06.010) ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემისათვის გამოსაყენებლად.

ა ზ რ ი
გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: **საკრებულოს წევრი ბაჩი მექვაბიშვილი** - აღნიშნული საკითხის შემდგომში განხილვისას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ატრაქციონი და მსგავსი ცენტრები იყოს მუნიციპალური და არ მოხდეს ფასის გაზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა:31

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 14 (ლ. კილაბერია, ნ. ფუტკარაძე, ნ. დუმბაძე, ბ. მექვაბიშვილი, რ. ხარაზი, თ. კავაზაშვილი, მ. ქობულაძე, ნ. ნაცარიშვილი, ა. ვარშალომიძე, ი. ჯინჭარაძე, ქ. ლასტაკანიძე, ე. ზარია, ა. გვიანიძე, ნ. ძიძიგური)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ - რამაზ ჯინჭარაძემ საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

სხდომის მდივანი: **მზევინარ წულუკიძე**